მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №56
2023 წლის 26 დეკემბერი

ქ. მცხეთა

ქ. მცხეთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-11 პუნქტის, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის, „ეკონომიკის რეგულირებადი სფეროების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის №667 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ პუნქტის და მე-2 მუხლის საფუძველზე, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ქ. მცხეთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტები დანართი №1-ის შესაბამისად;

მუხლი 2

ამ დადგენილების დანართით დამტკიცებული მარშრუტების შესაბამისად, ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანას ახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსაზღვრული სუბიექტი.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 01 იანვრიდან.

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — **გიორგი ელოშვილი**

დანართი №1

ქ. მცხეთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტები

მარშრუტი №	ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტები	მარშრუტის უკუმიმართულება	ავტობუსების (M3 კატეგორია) ყოველდღიური რაოდენობა	ინტერვალი საშუალოდ (წთ)
1	„ნარეკვავის“ დასახლება-ფარნავაზის მოედანი-არმაზი	წრიული	2	20 წთ
2	„ნარეკვავის“ დასახლება-ფარნავაზის მოედანი-სოფ. მუხათგვედი -„ზაჰესის“ დასახლება (ქ. მცხეთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში შემავალი ტერიტორია)	წრიული	4	30 წთ